საქართველოს ყველა ქვეყნის, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ГБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
5 იანვარი
1940 წ.
№ 4 (5705)
ფასი 10 კაპ

დღეს გაზეთშია

ტრაქტორების რემონტის მაღალი ხარისხისათვის (მოწინავე)
ლენინგრადის სამხედრო ოლქისა და ბალტიის წითელდროშოსანი ფლოტის წითელარმიელებს, წითელფლოტელებსა და პოლიტმუშაკებს (1-ლი გვ.)
მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს პირველი სესია (1-ლი გვ.)
დაიხურა მშრომელთა დეპუტატების ლენინგრადის საქალაქო საბჭოს პირველი სესია (1-ლი გვ.)
კოლმეურნეთა, სოფლად მცხოვრებ მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე ხეხილის დარგვის შესახებ (მე-2 გვ.)
მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სესიები (მე-2 გვ.)
სოციალიზმის ქვეყნის მეომართა დიდი ფიზიკური „ჯანდიდი" მოწინავე, მე-3 გვ.)
ოთხ წელიწადში შევასრულოთ ბრძანება ხალხთა ბრძენის ზრდის ხუთწლიანი გეგმა (მე-3 გვ.).

უცხოეთში

როგორ შეიდგებოდა ზიგფრიდის ხაზი (მე-4 გვ.)
ამერიკის პროტესტი ინგლისის მთავრობისადმი (მე-4 გვ.).

ტრაქტორების რემონტის მაღალი ხარისხისათვის

ინდუსტრიალიზაციის სტალინური გეგმის ბრწყინვალედ გამარჯვებამ უზრუნველჰყო მექანიზაციის ფართოდ დანერგვა სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში. ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აღჭურვილი არიან პირველხარისხოვანი იარაღ-მანქანებით. „... ჩვენი მიწათმოქმედება არის არა მარტო ყველაზე მსხვილი და მექანიზებული, და ამრიგად ყველაზე უფრო სასაქონლო მიწათმოქმედება, არამედ თანამედროვე ტექნიკით ყველაზე უფრო აღჭურვილიც. ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნის მიწათმოქმედება" **(ი. სტალინი)**.

მანქანა - ტრაქტორთა სადგურები წარმოადგენენ კოლმეურნეობებისადმი საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზაციული და ტექნიკური ხელმძღვანელობის შესანიშნავ ფორმას. ორდენოსან საქართველოში მოწყობილია 54 მტს-ი 2.336 ტრაქტორით. ამ ტრაქტორების სიმძლავრე 41.451 ცხენის ძალას შეადგენს.

მემინდვრეობის ბრიგადირების და სატრაქტორო ბრიგადირების ხელი-ხელჩაკიდებულმა მუშაობამ უზრუნველჰყო 1939 წელს მაღალი მოსავლის მიღება. ახლა ამოცანა ის არის, რომ მაღალი და მყარი მოსავალი მივიღოთ არა ცალკეული ნაკვეთებიდან, არამედ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საკოლმეურნეო ბრიგადებისა და რგოლების მთელი მასივიდან. სტალინგრადის ოლქის მოწინავე ბრიგადირებმა მაღალი აგროტექნიკის ურყევად დანერგვით, სატრაქტორო ბრიგადირებთან შეთანხმებული მუშაობით შესძლეს ბრიგადაზე მიმაგრებული ფართობის თვითეულ ჰექტარზე 100-120 ფუთი პურის მოყვანა.

საქართველოს მთელი რიგი საკოლმეურნეო და სატრაქტორო ბრიგადები გამოეხმაურნენ სტალინგრადელ ბრიგადირთა მოწოდებას და ჩაებნენ საკავშირო შეჯიბრებაში. ახლა მთელი მუშაობა იმნაირად უნდა წარიმართოს, რომ ბოლშევიკურად გავუხალისდით ნაკისრი ვალდებულებანი.

მაგრამ მაღალი სტალინური მოსავალი ჩვენს მინდვრებზე თავისთავად არ მოვა. იგი უნდა მოვიპოვოთ. უნდა ვიბრძოლოთ უხვი მოსავლისათვის. ამისათვის საჭიროა სანიმუშოდ, ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო თესვას.

საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით ჩატარებაში გადამწყვეტ როლს სატრაქტორო პარკი ასრულებს. საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე წელს საქართველოს მტს-ებმა კოლმეურნეობებს რბილ ხვნაზე გადაყვანით 839.000 ჰექტარი სხვადასხვა სახის სამუშაო უნდა შეესრულონ, 14.000 ჰექტარით მეტი, ვიდრე 1939 წელს. ტრაქტორების დროულად და მაღალხარისხოვნად შეკეთება ამ საბრძოლო დავალების შესრულების მთავარი პირობაა.

საშემოდგომო - საზამთრო რემონტი საქართველოში უნდა გაუკეთდეს სულ 1947 ტრაქტორს. 1 იანვრისათვის შეკეთებული იყო 1.016 ტრაქტორი, წლიური გეგმის 52,2 პროცენტი. 1939 წლის მეოთხე კვარტალის გეგმა ამავე რიცხვისათვის 106,9 პროცენტით იყო შესრულებული.

საერთოდ წელს საქართველოს მტს-ებში ტრაქტორების რემონტი წინა წელთან შედარებით უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს. იმ მტს-ებში, სადაც სარემონტო სახელოსნოებში ბოლშევიკური წესრიგია დამყარებული, შრომის დისციპლინა განმტკიცებულია, სადაც დირექტორი სამეურნეო მუშაობის ფხასა და უნარს იჩენს და საუკეთესოდ არის დაყენებული ძველი სათადარიგო ნაწილების აღდგენა და ახალი ნაწილების სწორად გამოყენება —რემონტის საქმეში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ. მაგალითად, ახალქალაქის მტს-მა, რომლის დირექტორად ამხ. გ. სიმონიანი მუშაობს, ტრაქტორების შეკეთების წლიური გეგმა უკვე შესრულა. ახალციხის მტს-ს (დირექტორი — ამხ. გ. აივაზიანი) 1 იანვრისათვის მეოთხე კვარტალის გეგმა შესრულებული ჰქონდა 176,5 პროცენტით, ხოლო წლიური—90,9 პროცენტით. კარგი მუშაობის ნიმუშს იძლევა სიღნაღის რაიონის ულიანოვკის მტს-ის დირექტორი ამხ. მ. ალავერდაშვილი. აქ 51 ტრაქტორიდან უკვე შეკეთებულია 40 ტრაქტორი, წლიური გეგმის 78,4 პროცენტი. სათადარიგო ნაწილების ადგილობრივი რესურსების ფართოდ გამოყენებით, გეგმის შესრულებაში კარგ წარმატებებს მიაღწიეს წნორის (დირექტორი — ამხ. ი. ფეიქრიშვილი), ალაზნის — (დირექტორი—ამხ. ა. ჩიგილაშვილი), აგარის (დირექტორი — ამხ. ა. მიქაძე), ბორჩალოს (დირექტორი — ამხ. გ. ასატუროვი) მტს-ებმა და სხვ.

მართალია, საქართველოში ტრაქტორების რემონტის 1939 წლის მეოთხე კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ ამ მხრივ ზოგან ყველაფერი რიგზე მაინც არ არის. მოწინავეების გვერდით მოიპოვებიან ისეთი მტს-ებიც, რომლებიც ჯერ კიდევ ცუდად მუშაობენ. ამას ისიც მოწმობს, რომ 54 მტს-დან 14-ს მეოთხე კვარტალის რემონტის გეგმა არ შეუსრულებია. სოხუმის და ზესტაფონის მტს-ებს 1 იანვრისათვის არცერთი ტრაქტორი არ ჰქონდათ შეკეთებული. ამ მტს-ების დირექტორები რ. კოტრიკაძე და შ. ბარბაქაძე დროა ამ გარემოებას სერიოზულად ჩაუფიქრდნენ.

შირაქის მტს-ს 46 ტრაქტორიდან 7 ტრაქტორი აქვს შეკეთებული. ტრაქტორების რემონტის დაბალი ტემპები იმით აიხსნება, რომ აქ დროულად არ მიიღეს ზომები სარემონტო ბრიგადების დასაკომპლექტებლად. სარემონტო სახელოსნოში დაყარებული არ არის ელემენტარული წესრიგი, სუსტად არის გაწყობილი მასობრივი პოლიტიკური მუშაობა. ასეთ პირობებში რა გასაკვირია, რომ 4 ტრაქტორი, რომელსაც შეკეთებულად სთვლიდნენ, შემოწმებისას ხელმეორედ შესაკეთებელი აღმოჩნდა. როგორც სჩანს, ამ მტს-ის დირექტორს ამხ. ვ. გურაშვილს შექმნილი მდგომარეობიდან ყველა საჭირო დასკვნა ჯერ კიდევ არ გამოუტანია.

თელავის რაიონის ახმეტის მტს-ს მშვენიერი სატრაქტორო პარკი აქვს. მაგრამ უნუნარო ხელმძღვანელნი არ ზრუნავენ, რომ იგი ყოველმხრივ მოამზადონ საგაზაფხულო თესვისათვის. რემონტის საქმეში შეუწყნარებელი უდარდელობის შედეგად აქ ტრაქტორების შეკეთება 23 დღის დაგვიანებით დაიწყეს და მაშინაც არაორგანიზებულად. ტრაქტორების შეკეთების ხარისხი ცუდია. ყოველივე ეს რატომღაც არ აღელვებს ამ მტს-ის დირექტორს ამხ. ფ. ლოქაფიშვილს. განა ჩამორჩენილი მტს-ების ცუდი მუშაობისათვის პასუხისმგებელი არ არიან ამ რაიონების პარტრაიკომები და რაიაღმასკომები?

უნდა გავაფრთხილოთ მტს-ების ხელმძღვანელი მუშაკები, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ძველი სათადარიგო ნაწილების არასწორად დაწუნება, დააწესონ მტკიცე კონტროლი სათადარიგო ნაწილების გეგმაშეწონილად ხარჯვაზე და რემონტის ტემპების ჯიდევ უფრო გაძლიერებასთან ერთად სერიოზული ყურადღება მიაქციონ მის ხარისხს. მტკიცედ უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ ხარისხის გარეშე არ არსებობს გეგმის შესრულება. შეკეთებულად მხოლოდ ის ტრაქტორი ჩაითვლება, რომელიც გულდასმით, ყოველმხრივ გასინჯული და მიღებულია სპეციალური კომისიის მიერ. არ უნდა განმეორდეს გასული წლის მაგალითები, როდესაც ზოგან ტრაქტორი მინდვრად გასვლისთანავე ჩერდებოდა უხარისხოდ შეკეთების გამო.

იანვარი ტრაქტორების შეკეთების წლიური გეგმის შესრულების გადამწყვეტი თვეა. საქმიწსახკომმა, აგრონომიის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მთელი სატრაქტორო პარკი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს საგაზაფხულო თესვის კამპანიას.

ლენინგრადის სამხედრო ოლქისა და ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის წითელარმიელებს, წითელფლოტელებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს

მშრომელთა დეპუტატების ლენინგრადის საქალაქო საბჭოს პირველი სესია ლენინის დიდი ქალაქის მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს უთვლის საბჭოთა ხალხის მამაც მეომრებს—ლენინგრადის სამხედრო ოლქისა და ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის წითელარმიელებს, წითელფლოტელებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს.

ძვირფასო ამხანაგებო! დღეს ჩვენ, ლენინის ქალაქის მშრომელთა რჩეულები, შევიკრიბენით ლენინგრადის საბჭოს პირველ სესიაზე. ლენინგრადმა, ისე როგორც მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, დაამტავრა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა გარდაქმნა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის — სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე. დღეს ჩვენ ვიწყებთ საქმიან მუშაობას. ამ დღეს ჩვენი გრძნობები მომართულია პირველ ყოვლისა თქვენკენ, გმირული წითელი არმიისა და სამხედროსაზღვაო ფლოტის მამაცო მეომრებო.

საბჭოთა ხალხის სახელოვანო მეომრებო! თქვენ იცავთ უშიშროებას ლენინის მშვენიერი ქალაქისას, მისი სამხახეთარი მილიონი მოსახლეობითურთ, მისი სახელოვანი რევოლუციური ტრადიციებითურთ, მისი მძლავრი ინდუსტრიითა და მოწინავე კულტურითურთ. თქვენ იცავთ იმ ქალაქის უშიშროებას, სადაც ყოველი ქვა მოგვაგონებს სისხლს, რომელიც რევოლუციურმა ხალხმა დაღვარა სოციალიზმის გამარჯვებისათვის, ქალაქს, რომელიც განუყოფლად არის დაკავშირებული საბჭოთა სახელმწიფოს დიდი მამების—ლენინისა და სტალინის სახელთან.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენი ბრძოლით თქვენ სპობთ ომის უსაშიშროს ქერას და ფასდაუდებელ სამსახურს უწევთ მთელს მოწინავე და პროგრესიულ კაცობრიობას.

წითელი არმია, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის არმია, გამოდის როგორც ფინელი ხალხის გამანთავისუფლებელი მისი სისხლისმსმელი ჯალათებისაგან — მანერჰაიმისა, ტანერისა და მათი ბანდისაგან. წითელი არმია, რომელიც ფინელ ხალხს ეხმარება მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ნათელ მომავალს უმზადებს დემოკრატიულ ფინეთს.

თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ფინელ ხალხს იხსნით მზაგრელთა და ჯალათთა შუასაუკუნეობრივ ბარბაროსობისაგან. თქვენზეა დამოკიდებული, ამხანაგებო, ფინელი ხალხის ბედი.

იბრძვით რა ფინეთის სამხედრო ხროვის წინააღმდეგ, ეხმარებით რა ფინელ ხალხს, თქვენ გამოდიხართ ხალხთა მშვიდობიანობისა და მეგობრობის სტალინური პოლიტიკის მძლავრ ძალად. ფინეთის პლაცდარმზე ერთმანეთს შეეჯახა ორი ძალა, ორი პოლიტიკა: საბჭოთა კავშირის პოლიტიკა, რომლის მიზანია იმპერიალისტური ომის პროვოკატორთა ალაგმვა, და საერთაშორისო იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული წრეების პოლიტიკა, რომლის მიზანია ომის გაჩაღება, მილიონობით ადამიანის გაჟლეტა.

ანადგურებთ რა თეთრ ფინელთა ბანდებს, თქვენ ჰფუშავთ მსოფლიო ომის პროვოკატორთა სისხლიან გეგმებს.

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ, სწყვეტთ რა ამ ისტორიულ ამოცანებს, თქვენ, ჩვენი სამშობლოს, ლენინ-სტალინის დიადი დროშის უსაზღვროდ ერთგულნი, გმირობისა და მამაცობის სასწაულებს ახდენთ. სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი მიდიხართ თქვენ ბრძოლაში და იმარჯვებთ.

გმირული ბრძოლის ამ დღეებში ჩვენ სულითა და გულით თქვენთანა ვართ, ძვირფასო ამხანაგებო. არმია და ხალხი, ზურგი და ფრონტი ჩვენში ერთიანია ისე, როგორც არასოდეს ყოფილა. საბრძოლო მოქმედებისათვის მხარდაჭერის ნიშნად, თქვენთან სოლიდარობის ნიშნად ლენინის ქალაქის მშრომელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება. მუშები, სტახანოველები ახალ საწარმოო რეკორდებს იძლევიან. ახალი ენერგიით მუშაობს ინტელიგენცია. ლენინგრადის მშრომელნი თქვენდამი მხურვალე სიყვარულის ნიშნად საჩუქრებს აგროვებენ მოქმედი არმიისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო! 24 დეკემბერს საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში მთლიანად და სრულად გაიმარჯვა კომუნისტთა და უპარტიოთა ურყევმა სტალინურმა ბლოკმა, დიდია ამ გამარჯვების მნიშვნელობა. იგი გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ხალხი ლენინურ-სტალინური პარტიის დროშით მზად არის უკუაქციოს მტრების ყოველგვარი იერიში. დეე უხაროდეთ ეს ჩვენს მეგობრებს. დეე ძრწოდნენ ჩვენი მტრები ამ შესანიშნავი გამარჯვების გაგონებაზე.

ჩვენ, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს დეპუტატები, ლენინის ქალაქის მშრომელთა სახელით მხურვალე მადლობის გრძნობას გამოვთქვამთ თქვენდამი, ძვირფასო ამხანაგებო, იმ მამაცობისა, გულადობისა და ვაჟკაცობისათვის, რომლითაც თქვენ იცავთ ლენინის სახელოვანი ქალაქის და ჩვენი სამშობლოს უშიშროებას. ერთ წუთსაც არ შეგვდის ეჭვი, რომ ასეთი მამაცურად, თავდადებით და თავგანწირვით წახვალთ წინ, სრული გამარჯვებისაკენ, დაამსხვრევთ თქვენს გზაზე ყველა დაბრკოლებას, მოსრესთ საზიზღარ თეთრგვარდიელ ფინელ ქვეწარმავალს და ღირსეულად შეასრულებთ თქვენს ამოცანას. ამ გმირულ ბრძოლაში თქვენს დროშებზე ბრწყინვალედ იელვრებს ამხანაგ სტალინის სიტყვები, რომლებიც ეწერა მის მიერ ფინეთის სახალხო მთავრობის მეთაურის ამხ. ოტო კუუსინენის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში: „ვეუსურვებ ფინელ ხალხს და ფინეთის სახალხო მთავრობას სწრაფ და სრულ გამარჯვებას ფინელი ხალხის მჩაგვრელებზე, მანერჰაიმ-ტანერის ხროვაზე".

მაშ ამაყად და ძლევამოსილად ვიდოდეს წინ ჩვენი მოქმედი წითელი არმია, ჩვენი მოქმედი წითელი ფლოტი!

წინ, სოციალიზმის ქვეყნის სახელოვანო მებრძოლნო, რათა მტერი სავსებით იქნას განადგურებული!

წინ, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დროშით!

წინ, სამშობლოსათვის, სტალინისათვის!

ლენინგრადის საქალაქო საბჭოს 1-ლი სესია.

მივდივართ „სეზოვის" რადიოკვლევებით

ყინულმჭრელი „ი. სტალინი", 4 იანვარი (საკდესის რადიო). წარმოუდგენელი სიძნელით მივიწევთ წინ. „სეზოვამდე" 20-25 მილი დარჩა. „სეზოვის" კოორდინატებია ჩრდილოეთის განედის 80 გრადუსი და 55 წუთი, აღმოსავლეთის გრძედის 3 გრადუსი და 10 წუთი. დღეს 01 საათზე დროებით შეჩერების შემდეგ კვლავ წინ მივიწევთ. გავარღვიეთ ყინულის ბარიერი და მივდივართ „სეზოვის" რადიოპელენგით.

ი. პაპანინი

ჯვირფასი მოგება

3 იანვრისათვის სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოში წარდგენილია ლატარიის ბილეთები, რომლებმაც მოიგეს: 7 მსუბუქი ავტომანქანა „მ-1", ერთი მსუბუქი ავტომანქანა „ზის-101", 23 მოტოციკლი, 16 პიანინო, 41 რადიოლა, 18 მოგზაურობა სსრ კავშირში და სხვ.

სოციალისტური მიწათმოქმედების აკადემია ხარკოვში

არტემის სახელობის სოციალისტური მიწათმოქმედების აკადემია ხარკოვში არსებობა უკრაინის არტემის სახელობის კომუნისტური სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის საფუძველზე. კომუნისტური უნივერსიტეტის მოსწავლეთა შორის არიან: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი უ. ნ. ბონდარენკო, ორდენოსანი მერგოლურები მარიამ პილიპენკო და ანა კანციბერი, ორგზის ორდენოსანი ხ. ფ. რილსკაია და სხვ. (საკდესი).

მოსკოვისა და მისი ოლქის აგიტაპროპორები და პროპაგანდისტები თბილისში

4 იანვარს, თბილისში ყოფნის მეორე დღეს, მოსკოვისა და მისი ოლქის პროპაგანდისტები შეუხვედრებიან ინტერესითა და ყურადღებით განაგრძობდნენ ამხანაგ სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილების გაცნობას.

საღამოს ექსკურსანტები ზაჰარია ფალავაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში დაესწრნენ ოპერა „დაისს". ამ დადგმამ მათზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

სპექტაკლის შემდეგ 360 აგიტატორი და პროპაგანდისტი სპეციალური მატარებლით გაემგზავრა ამხანაგ სტალინის სამშობლოში — ქალაქ გორში. (საქდესი).

დაუვიწყარი დღეები

პარტიის მოსკოვის საოლქო და მოსკოვის საქალაქო კომიტეტებმა საიჩქარსიროდ გამოგზავნეს ამიერკავკასიაში 360 საუკეთესო აგიტატორი, პროპაგანდისტი, ნდობით აღჭურვილი პირი და მოსკოვისა და მისი ოლქის საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრი. ჩვენ წილად გვხვდა მაღალი პატივი, ვიყოთ ამ ექსკურსანტთა რიცხვში.

ჩვენ რამდენიმე დღე გავატარეთ ბაქოში, რის შემდეგაც ვესტუმრეთ მზიური საქართველოს დედაქალაქს — საბერიოვან ქალაქ თბილისს. სიტყვები არ გვყოფნის, რათა გამოვთქვათ ჩვენი აღტაცება ყოველივე იმით, რაც აქ ვნახეთ. თბილისში ორი დღე გავატარეთ და დავთვალიერეთ ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილები.

ვათვალიერებდით რა ყოფილ სასულიერო სემინარიას, სადაც ჩვენი ბელადი სწავლობდა, მიხა ჩოდრიშვილის ყოფილ სადურგლოს, ავლაბრის არალეგალურ ბოლშევიკურ რესტავრირებულ სტამბასა და სხვა სტალინურ ადგილებს, ჩვენ ამ დღეებში თითქოს ლენინ-სტალინის პარტიის საგმირო ისტორიის ფურცლებს ვკითხულობდით. ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას შესანიშნავი წიგნი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", რომელსაც ჩვენ ჯერ კიდევ გამომგზავრებამდე ვიცნობდით, ჩვენთვის უფრო ცხადი და გასაგები გახდა.

სტალინური მარშრუტით მოწყობილმა ექსკურსიამ გააფართოვა ჩვენი ჰორიზონტი, გაგვამდიდრა ახალი ცოდნით. ჩვენ ამჟამად ჩვენი ცხოვრების უბედნიერეს დღეებს განვიცდით. ყველაფერი, რაც ჩვენ ამ დღეების განმავლობაში ვნახეთ და განვიცადეთ, მოსკოვისა და მისი ოლქის ათიათასობითა და ასიათასობით მშრომელთა კუთვნილება გახდება ამ მგზავრობიდან ჩვენი დაბრუნების შემდეგ.

სახელი და დიდება საქართველოს ბოლშევიკებს, სახელი და დიდება ამხანაგ ლავრენტი ბერიას, რომლებმაც დაიცვეს და აღადგინეს ეს ისტორიული ადგილები, რომელთა დათვალიერებაზედაც ოცნებობენ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელნი.

ჩვენ განსაკუთრებული კმაყოფილებით აღვნიშნავთ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეათა გავრცელების ისეთი მშვენიერი კერის შექმნას, როგორიც არის მარქს - ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი, სადაც თავმოყრილია პარტიის ისტორიის, კაცობრიობის გენიოსების—ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უძვირფასესი მასალები და დოკუმენტები.

ძველი ქალაქი თბილისი ბოლშევიკების ნებასურვილით მზიური საქართველოს ლამაზ, კეთილმოწყობილ დედაქალაქად გადაიქცა. ჩვენ აღტაცებაში მოვყავართ მის მონუმენტურ ლამაზ ნაგებობებს, მის პირველხარისხოვან მაგისტრალებს, სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩას, სამრეწველო გიგანტებს (ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა, წისქვილ-კომბინატი, ავტოსარემონტო ქარხანა და მრავალი სხვა), რომლებიც აგებულია სტალინური ხუთწლედების განმავლობაში. მშვენიერია მთაწმინდაზე გაშენებული სტალინის სახელობის პარკი. ყოველივე ეს და მრავალი სხვა, რაც ჩვენ ამ დღეებში ვნახეთ, თვალსაჩინო მაგალითია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორი გატარებისა, რომელმაც მეფის იმპერიის ყოფილი კოლონიის აყვავება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ცოტა ხანს ვიყავით თბილისში, მოვასწარით გავცნობოდით ქართველი ხალხის უდიდეს კულტურულ მიღწევებს, ხალხისა, რომელმაც მისცა მსოფლიოს კაცობრიობის გენიოსი —დიდი სტალინი. საბჭოთა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები, სკოლები, თეატრები, კინოები, მუზეუმები ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის მძაფრი ზრდისა და აყვავების დამამტკიცებელი საბუთია.

ჩვენზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვის, მოსკოვის ოლქისა და თბილისის პროპაგანდისტთა და აგიტატორთა შეხვედრამ ძველ მუშებთან (ამხ. ელისაბედაშვილი, პარკაძე, ლელაშვილი, ალაჯალოვა), რომელნიც საქართველოს და ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე ამხანაგ სტალინთან იყვნენ დაკავშირებული მუშაობით. ეს შეხვედრა სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაციად გადაიქცა.

ჩვენ ღრმა მადლობას ვუძღვნით თბილისისა და რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს გულმხურვალე მიღებისათვის, აგრეთვე იმ ამხანაგებს, რომელნიც ორი დღის განმავლობაში ჩვენ თან გვახლდნენ.

გულითადი სალამი და საუკეთესო სურვილები ქართველ ხალხს, რომელიც მტკიცე ნაბიჯით მიეთარეთება კომუნიზმის მწვერვალებისაკენ.

მოსკოვისა და მისი ოლქის პროპაგანდისტები და აგიტატორები:
ი. ლაზარენკო, ე. პოზდნიაკოვა, ი. კოლიშევი, ა. მამონტოვი, ი. მიასნიკოვი.

ქ. თბილისი, 1940 წლის 4 იანვარი.

ამხ. მოლოტოვმა მიიღო ბულგარეთის სავაჭრო დელეგაციის მეთაური ბ-ნი ბოჟილოვი

გუშინ, 4 იანვარს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. **მოლოტოვმა** მიიღო ბულგარეთის სავაჭრო დელეგაციის მეთაური ბულგარეთის ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ბოჟილოვი.

მიღებას დაესწრნენ ბულგარეთის მოსკოველი ელჩი ბ-ნი ანტონოვი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ვ. გ. დეკანოზოვი.**

მოსკოვს ჩამოვიდა იაპონიის სავაჭრო დელეგაცია

4 იანვარს მოსკოვს ჩამოვიდა იაპონიის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს იაპონიის შვეიცელი ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი მაკუსიმა სიკაო. ბ-ნი მაკუსიმა სიკაოს თან ახლავს ბ-ნი ტანაკა მიცუო, ბ-ნი მიტანი სიძუო, ბ-ნი კობაიასი სატორუ და ბ-ნი მიხო მიკიტარო.

ჩამოსულთ ჩრდილოეთის ვაგზალში შეეგებნენ: საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ი. მ. კაგანოვიჩი, სსრ კავშირის საგაჭრო წარმომადგენელი იაპონიაში ამხ. ლ. ა. რაზინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხელშეკრულებათა განყოფილების უფროსის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. დ. დ. შიშუტინი, მოადგილე სსრ კავშირის საგაჭრო წარმომადგენლისა იაპონიაში ამხ. პ. გ. ვაკულენკო, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საოქმო ნაწილის უფროსი ამხ. ს. ა. ვშივკოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რეფერენტი იაპონიაში ამხ. მ. დ. იამნიკოვი და იაპონიის საელჩოს შემადგენლობა იაპონიის ელჩ ბ-ნ ტოგოს მეთაურობით.

ოპერაციული ცნობა

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

4 იანვრის განმავლობაში ფრონტზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს პირველი სესია

3 იანვარს, დილით, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს პირველი სესია განაგრძობდა თავის მუშაობას. პირველი სესიის თავმჯდომარე დეპუტატი გ. მ. პოპოვი მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ ვ. კ. პავლიუკოვს.

— არჩევნების შედეგები, — ამბობს მომხსენებელი, — ერთხელ კიდევ მოწმობენ იმას, რომ ყველა მშრომელნი სავსებით მხარს უჭერენ საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მოსკოვის საქალაქო საბჭოს პირველ დეპუტატად ერთსულოვნად არის არჩეული ხალხთა ბელადი, ჩვენი დროის უდიდესი ადამიანი, მასწავლებელი, ამხანაგი და მეგობარი, სოციალისტური შრომის გმირი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან)**. მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატად არჩეულია, საბჭოთა მთავრობის მეთაური ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან)**.

მოსკოვის საქალაქო საბჭოს სულ 1402 დეპუტატთა შორის არჩეულია 699 კომუნისტი (49,8 პროც.) და 703 უპარტიო (50,2 პროც.).

დეპუტატებად არჩეულია 17 საბჭოთა კავშირის გმირი. 302 დეპუტატი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. არჩეულთა შორის არიან სახელოვანი წითელი არმიის მებრძოლები და მეთაურები.

დეპუტატებს შორის არის: 797 მუშა, 38 გლეხი, საბჭოთა ინტელიგენციის 567 წარმომადგენელი. 371 მუშა მუშაობს უშუალოდ წარმოებაში. ისინი ყველანი სტახანოველები არიან. 813 დეპუტატს აქვს უმაღლესი და საშუალო განათლება, 480 დეპუტატი ქალია. 1.096 დეპუტატი საბჭოთა ორგანოებში პირველად არის არჩეული.

სამანდატო კომისიამ დაადასტურა, რომ:

1. მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატების არჩევნები ყველა 1.402 საარჩევნო ოლქში ჩატარებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და „რუსეთის სფს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების" საფუძველზე და სრული შესაბამისობით.

2. არავითარი საფუძველი რომელიმე საარჩევნო ოლქში არჩევნების გაუქმებისათვის, აგრეთვე არავითარი საჩივარი და განცხადება კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების დარღვევაზე როგორც საოლქო საარჩევნო კომისიებში, ისე საქალაქო საარჩევნო კომისიაში არ არსებობს.

3. ზემოთქმულის საფუძველზე მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს პირველი სესიის სამანდატო კომისია ცნობს მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს ყველა იმ დეპუტატის რწმუნებათა სისწორეს, რომლებიც რეგისტრირებული არიან მოსკოვის საქალაქო საარჩევნო კომისიაში და რომელთა სია გამოქვეყნებულია გაზეთ „მოსკოვსკი ბოლშევიკში".

კიროვის რაიონის დეპუტატების სახელით დეპუტატ ა. ი. მიხაილოვას შეაქვს წინადადება — სამანდატო კომისიის მოხსენება დამტკიცებულ იქნას. ამ წინადადებას ერთხმად იღებენ.

შემდეგ სესია გადადის დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვაზე მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნებზე. სესია ერთსულოვნად იღებს წინადადებას, რომ აღმასრულებელი კომიტეტი არჩეულ იქნას 21 კაცის რაოდენობით. მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ ხანგრძლივი ტაშით ირჩევენ დეპუტატ ვ. პ. პრონინს, რომელიც წინათ მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა.

სესიამ გადასწყვიტა დაავალოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. პრონინს წარმოადგინოს თავისი მოსაზრებანი აღმასრულებელი კ

კოლმეურნეთა, სოფლად მცხოვრებ მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე ხეხილის დარგვის შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება № 2525

1939 წლის 26 დეკემბერი

მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებულია 7.000 ჰექტარზე მეტი ხეხილი (სუბტროპიკული კულტურების გაშენების ჩათვლით), საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რჩევა მიეცეს ყველა კოლმეურნეს, სოფლად მცხოვრებ მუშასა და მოსამსახურეს დარგან საკარმიდამო ნაკვეთებზე ყოველწლიურად 2-3 წლის განმავლობაში 15-20 ძირი ხეხილი მაინც.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებს დაიყვანონ ეს დადგენილება კოლმეურნეობათა, აგრეთვე სოფლად მცხოვრებ მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე და დაიყვანონ ეს გეგმა კოლმეურნეობებამდე და სასოფლო საბჭოებამდე.

3. მოწონებულ იქნას საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის მიერ დადგენილი ხეხილის კულტურების რაიონობრივი ასორტიმენტი საკარმიდამო ნაკვეთებზე გასაშენებლად და რჩევა მიეცეს კოლმეურნეებს, სოფლად მცხოვრებ მუშებსა და მოსამსახურეებს დარგან საკარმიდამო ნაკვეთებზე, უპირველეს ყოვლისა, ბროწეულის, ლეღვის, ნუშის, კაკლის, თხილის, ატმის, ფსტის, ვაშლის, მსხლის, კომშის, ზღმარტლის ხეები და სხვა ძვირფასი ხეხილი.

4. დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის მიერ წარმოდგენილი 200 ათასი ძირი ხეხილის ნერგის განაწილების გეგმა, რომლის მიხედვითაც საკარმიდამო ნაკვეთებზე 1940 წლის გაზაფხულზე უნდა დაირგას 160 ათასი, ხოლო 1940 წლის შემოდგომაზე—40 ათასი ხეხილის გაშენების შესახებ". საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რჩევა მიეცეს ყველა კოლმეურნეს, სოფლად მცხოვრებ მუშასა და მოსამსახურეს დარგან საკარმიდამო ნაკვეთებზე ყოველწლიურად 2-3 წლის განმავლობაში 15-20 ძირი ხეხილი მაინც.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებს დაიყვანონ ეს დადგენილება კოლმეურნეობებამდე და სასოფლო საბჭოებამდე.

3. მოწონებულ იქნას საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის მიერ დადგენილი ხეხილის კულტურების რაიონობრივი ასორტიმენტი საკარმიდამო ნაკვეთებზე გასაშენებლად და რჩევა მიეცეს კოლმეურნეებს, სოფლად მცხოვრებ მუშებსა და მოსამსახურეებს დარგან საკარმიდამო ნაკვეთებზე, უპირველეს ყოვლისა, ბროწეულის, ლეღვის, ნუშის, კაკლის, თხილის, ატმის, ფსტის, ვაშლის, მსხლის, კომშის, ზღმარტლის ხეები და სხვა ძვირფასი ხეხილი.

4. დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის მიერ დადგენილი ხეხილის კულტურების დარგვის გეგმის მიხედვით განაწილებული ასორტიმენტი საკარმიდამო ნაკვეთებზე გასაშენებლად და რჩევა მიეცეს კოლმეურნეებს, სოფლად მცხოვრებ მუშებსა და მოსამსახურეებს დარგან საკარმიდამო ნაკვეთებზე, უპირველეს ყოვლისა, ბროწეულის, ლეღვის, ნუშის, კაკლის, თხილის, ატმის, ფსტის, ვაშლის, მსხლის, კომშის, ზღმარტლის ხეები და სხვა ძვირფასი ხეხილი.

5. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებს დაიყვანონ ეს დადგენილება კოლმეურნეობებამდე და სასოფლო საბჭოებამდე.

6. დაევალოს სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებს რაიაღმასკომის მიერ დამტკიცებული ხეხილის კულტურების დარგვის გეგმის მიხედვით დაიწყონ ხეხილის გაშენების ორგანიზაციული მუშაობა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე ხეხილის დარგვის გეგმის შესრულების შესახებ.

7. იმ მიზნით, რომ ხეხილის ნარგაობა მასალით სრულად უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა ორგანიზებული მომარაგება ხეხილის კულტურების სარგავი მასალით, შემოღებულ იქნას შემდეგი წესი:

ა) იმ შემთხვევებში, როცა სარგავი მასალა სხვა რაიონიდან შემოაქვთ, შემოტანას აწყობს რაიმოწვანი და ანაწილებს მასალას სათანადო კოლმეურნეობებსა და სასოფლო საბჭოებზე;

ბ) იმ შემთხვევებში, როცა სარგავ მასალას იძლევიან იმ სანერგიდან, რომელიც ამ რაიონში მდებარეობს, აგრეთვე რაიონში შემოტანილი სარგავი მასალიდან, მასალის გადაზიდვას და მის განაწილებას კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა შორის აწარმოებენ სასოფლო საბჭოები და სათანადო კოლმეურნეობათა გამგეობები.

მეურნეობანი, რომელნიც ხეხილის კულტურების ნერგებს იღებენ ნერგების საფასურის გარდა, იხდიან სატრანსპორტო ხარჯსაც.

8. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებს ერთი თვის ვადაში გამოარკვიონ, თუ რამდენი სარგავი მასალა იქნება საჭირო შემდგომ წლებში კოლმეურნეთა, სოფლად მცხოვრებ მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე ხეხილის დასარგავად, და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მიწსახკომს.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომს არა უგვიანეს 1940 წლის 15 თებერვლისა შეიმუშაოს და წარმოადგინოს საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოში ხეხილის სანერგეების დამატებით გაშენებისა და არსებული სანერგე მეურნეობის გაფართოების გეგმა, ამასთან გაითვალისწინოს ყინვაგამძლე, მიჩურჩინული ჯიშების გამოყენება მთიანი რაიონებისათვის.

10. დაეკალოს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომს რაიმოწვანების მეშვეობით უზრუნველჰყოს მოსახლეობის ინსტრუქტაჟი ხეხილის გაშენებისა და მოვლის საქმეში, აგრეთვე არა უგვიანეს 1940 წლის 15 თებერვლისა გამოსცეს პოპულარული დასურათებული ინსტრუქცია ხეხილის კულტურების აგროტექნიკის დარგში.

11. დაწესდეს, რომ ეს დადგენილება არ ვრცელდება სუბტროპიკულ კულტურათა განვითარების რაიონებში მცხოვრებ კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებზე. სადაც კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობანი ვალდებულნი არიან გააშენონ საკარმიდამო მიწებზე (ციტრუსოვანი ნარგავები, თანახმად საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) (ენტრალური კომიტეტის 1936 წლის 15 აპრილის დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროზე კოლმეურნეთა ოჯახებისათვის ნაკვეთების მეურნეობითი სარგებლობის შესახებ").

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ბაძრაძე

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი
ი. რუხაძე

დანართი დადგენილებისა № 2525

კოლმეურნეთა, სოფლად მცხოვრებ მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე ხეხილის სანერგე მასალის განაწილების გეგმა 1940 წლისათვის

№ № რიგებ	რაიონები	1940 წლის გაზაფხული: ვაშლი	მსხალი	კომში	ატმები	ზღმარტლი	ქლიავი	ბალი	ალუბალი	ნუში	ლეღვი	ბროწეული	სხვადასხვა ძვირფასი ხეხილი	ქაღალდი	თხილი	ს უ ლ	1940 წლის შემოდგომა: ვაშლი	მსხალი	ატმები	ქლიავი	ბალი	ალუბალი	ნუში	სულ 1940 წლის დასარგავი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
1	აბალციხის	1000	—	—	—	—	500	—	250	—	—	—	—	—	1750	—	—	—	—	—	—	—	1750
2	ბოგდანოვკის	500	250	—	—	—	250	—	250	—	—	—	—	—	1250	—	—	—	—	—	—	—	1250
3	ახალციხის	1500	500	—	800	150	150	200	—	—	—	—	—	—	3300	1000	—	—	—	—	—	1000	4300
4	ადიგენის	2400	800	—	—	—	700	200	500	—	—	—	300	—	4300	—	—	—	—	—	—	—	4300
5	ასპინძის	2000	—	—	—	—	500	—	300	—	—	—	—	—	2800	—	—	—	—	—	—	—	2800
6	ბაშურის	1500	500	—	500	—	500	—	500	—	—	—	—	—	3500	500	500	—	—	—	—	1000	4500
7	ჭაობელის	2000	1000	—	1000	—	500	—	—	500	—	—	—	—	5000	1500	500	—	—	—	—	2000	7000
8	გორის	2000	2000	—	2000	—	1000	500	—	500	—	—	—	—	8000	500	500	—	500	500	—	2000	10000
9	კასპის	1000	1000	—	2000	—	500	—	—	500	—	—	—	—	5000	500	500	500	—	500	—	2000	7000
10	ბორჯომის	500	500	—	200	—	500	—	500	—	—	—	—	—	2200	—	—	—	—	—	—	—	2200
11	გუჯარეთის	500	500	500	1000	—	—	—	—	—	—	—	—	—	2500	—	—	—	—	—	—	—	2500
12	სიღნაღის	500	500	500	2000	—	500	—	—	500	100	2000	500	—	7100	500	500	1000	—	—	—	2000	9100
13	წითელ წყაროს	—	—	—	3000	—	—	—	—	—	—	—	500	—	3500	—	—	—	—	—	—	—	3500
14	თელავის	1000	500	500	1000	—	—	—	—	—	—	—	500	—	3500	—	—	—	—	—	—	—	3500
15	ყვარლის	500	500	500	1000	—	—	—	—	—	—	—	500	—	3000	—	—	—	—	—	—	—	3000
16	ლაგოდეხის	1000	2000	1000	1000	—	—	—	—	—	—	—	500	—	5500	500	500	—	—	—	—	1000	6500
17	თბილისის	500	500	—	1000	—	500	—	1000	500	—	—	—	—	4000	500	500	1000	500	1000	1000	1000	8500
18	მცხეთის	500	500	—	1000	—	500	—	1000	500	—	—	—	—	4000	500	500	1000	500	1000	1000	1000	8500
19	ყარაიაზის	500	500	—	3000	—	—	—	—	—	—	—	—	—	4000	500	—	500	—	—	—	1000	5000
20	ბორჩალოს	500	—	—	1000	—	500	—	500	—	—	—	—	—	2500	500	500	500	—	—	—	1500	4000
21	ლუჯი-მშვრგის	500	300	—	500	—	500	500	500	—	—	—	500	—	3300	500	500	500	500	500	—	2500	5800
22	ხაშურის	1000	1000	—	—	—	500	—	500	—	—	—	—	—	3000	—	—	—	—	—	—	—	3000
23	დუშეთის	500	500	—	500	—	500	—	500	—	—	—	—	1000	3000	500	500	—	—	—	—	1000	4500
24	ახალციხის	500	500	—	1000	—	2000	—	—	—	—	—	—	—	4000	500	—	—	500	—	—	1000	5000
25	სიღნაღის	500	500	500	1500	—	—	—	—	—	—	—	—	—	3000	500	—	500	—	—	—	1000	4000
26	ბაღდათის	500	—	—	—	—	300	—	200	—	—	—	—	—	1000	—	—	—	—	—	—	—	1000
27	თიანეთის	500	—	—	—	—	500	—	500	—	—	—	—	—	1500	—	—	—	—	—	—	—	1500
28	ყაზბეგის	200	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	2000	—	—	—	—	—	—	—	2000
29	სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	500	1000	—	1000	—	500	—	—	—	—	—	—	—	3000	500	500	—	—	—	—	1000	4000
30	ქუთაისის	500	—	—	2000	—	—	—	1000	—	500	—	500	—	4500	300	200	300	200	—	—	1000	5500
31	წყალტუბოს	500	—	—	2000	—	—	—	—	—	500	1000	1000	—	5000	200	300	300	200	—	—	1000	6000
32	სამტრედიის	300	—	—	1000	—	—	—	—	—	—	—	500	—	1800	200	500	—	500	—	—	1000	2300
33	წულუკიძის	—	—	—	500	—	500	—	—	—	—	—	500	—	1500	—	—	—	—	—	—	—	1500
34	ვანის	500	—	—	—	—	—	—	—	2200	2000	—	1000	—	5700	—	—	—	—	—	—	—	5700
35	ბაღდათის	—	—	—	500	—	500	—	—	—	—	—	—	—	1000	—	—	—	—	—	—	—	1000
36	ხელვაჩაურის	—	—	—	1000	—	500	—	—	—	—	—	—	—	1500	—	—	—	—	—	—	—	1500
37	ჩხარის	—	—	—	500	—	500	—	—	—	—	—	—	—	1000	—	—	—	—	—	—	—	1000
38	ჭიათურის	300	200	—	500	—	—	—	—	—	—	—	—	—	1000	—	—	—	—	—	—	—	1000
